
პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია

კურსდამთავრებულთა კლუბი

მუხლი 1. თბილისის სამედიცინო აკადემიის (თსა) კურსდამთავრებულთა კლუბის განმარტება

- 1.1 პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის (თსა) კურსდამთავრებულთა კლუბის მიზანია, გააერთიანოს თსა-ს სტუდენტები, კურსდამთავრებულები და ადმინისტრაციული პერსონალი საერთო მისიის შესასრულებლად, რომელიც გულისხმობს საზოგადოებისთვის სასარგებლოდ, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნის გამოყენებას და თემზე ორიენტირებული აქტივობების წარმართვას;
- 1.2 კურსდამთავრებულთა კლუბი ხელს უწყობს თსა-ს და მისი სტუდენტების შემდგომ კეთილდღეობას და ითვისებისწინებს მათ ინტერესებს;
- 1.3 კლუბს აქვს გარკვეული მოვალეობები, რომელიც თანხვედრაშია თსა-ს მიზნებთან. მათ განსახორციელებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას თსა-ში არსებული რესურსები და სივრცე, როგორც კლუბის შეხვედრებისათვის, ისე თსა-ს მიერ ორგანიზებული აქტივობებისათვის.

მუხლი 2. კლუბის ყოველდღიური საქმიანობის მართვა

- 2.1 კურსდამთავრებულთა კლუბის საქმიანობასთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელებას კოორდინაციას უწევს ინსტიტუციური კულტურის განვითარების დეპარტამენტი;
- 2.2 კლუბის აქტივობები ექვემდებარება თსა-ში მოქმედ რეგულაციებს;
- 2.3 კლუბის საქმიანობაზე პასუხისმგებლობას ანაწილებს ინსტიტუციური კულტურის დეპარტამენტი ორ პირზე (ერთი მათგანი უწევს კოორდინაციას ქართველ კურსდამთავრებულთა აქტივობებს, ხოლო მეორე - უცხოელ კურსდამთავრებულებს). ისინი ადევნებენ თვალს კლუბის ყოველდღიურ საქმიანობას, მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში და თსა-ს რეგულაციების შესაბამისად ზრუნავენ კურსდამთავრებულებზე, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს კლუბის მისიის წარმატებით განხორციელებას.

მუხლი 3. კლუბის მიზნები და დაგეგმილი აქტივობები

- 3.1 პროფესიული და სოციალური კავშირების ჩამოყალიბება და განვითარება კლუბის წევრებს შორის და მათი შემდგომი აქტივობების მხარდაჭერა;
- 3.2 თსა-ს ინსტიტუციური კულტურის გაძლიერება საერთო ღირებულებების, მისწრაფებების გაზიარების გზით;

- 3.3 კურსდამთავრებულთა ისტორიების პოპულარიზაცია ბლოგებით და სხვა სოციალური მედიის არხებით;
- 3.4 თსა-ს სტუდენტთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა: მენტორობის პროგრამებით, ლექციებით, Workshop-ებით, რომელიც ჩატარდება თსა-სთან თანამშრომლობით და ასევე, Observership-ები კლინიკურ გარემოში, სამუშაო სიტუაციაში;
- 3.5 თსა-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება სამეცნიერო კვლევაში მათი ჩართვის გზით;
- 3.6 კურსდამთავრებულთა სწავლების გამოცდილების ამაღლება და მათი კარიერული მხარდაჭერა;
- 3.7 სოციალური აგენტების სახით, თსა-ს სახელით მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სოციალურ აქტივობაში, რომლებიც ემსახურება საზოგადოებაში ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებას;
- 3.8 თსა-ს ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
- 3.9 პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ახალი ხედვის გაზიარება თსა-ს რექტორთან, მრჩეველთა საბჭოსთან, კურიკულუმის კომიტეტთან და სტუდენტურ აკადემიასთან;
- 3.10 თსა-ს ცნობადობის ამაღლება სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობის გზით (მაგ. ღია კარის დღეები, სხვადასხვა პროექტი და სხვ.);
- 3.11 თსა-ს აკადემიური, კვლევითი და ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა.

მუხლი 4. კლუბის წევრობის პირობები

- 4.1 სტუდენტები თსა-ს დასრულების შემდეგ ხდებიან კურსდამთავრებულთა კლუბის წევრები, თუკი ისინი არ აცხადებენ უარს;
- 4.2 კურსდამთავრებულთა მუხვედრები გაიმართება ყოველწლიურად;
- 4.3 კლუბის წევრებთან მუდმივი კომუნიკაცია წლის განმავლობაში შედგება კვარტალური საინფორმაციო ბიულეტენის და ელექტრონული პლატფორმების საშუალებით.